

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2016 წლის 21 ივნისის რიგგარეშე სხდომის
ოქმი №15

ქ.მცხეთა

ანტიოქიის ქ №7 16:00 სთ.

სხდომის თავმჯდომარე - ჯემალ სოლოღაშვილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას დაესწრო საკრებულოს 23 წევრი (დანართი - რეგისტრაციის სატაბელო ფურცელი), საკრებულოს აპარატის უფროსი - ოთარ ჩხეიძე, საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უფროსი - ბესიკი კოზმანაშვილი, საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების უფროსი - მელანო მამაცაშვილი, საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი - ელდინა მირცხულავა, საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი - ქეთევან აქიაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტს“ -ის ხარისხის მენეჯერი ოთარ ლომიძე და ამავე შპს-ის ლოჯისტიკის მენეჯერი - დავით ბასილაძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ ჯემალ სოლოღაშვილმა.

დამსწრეთა რაოდენობით, სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად.

თავმჯდომარემ წარმოადგინა დღის წესრიგი:

1. განკარგულების პროექტი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“. მომხსენებელი - გიორგი ბაინდუროვი.
2. განკარგულების პროექტი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელის (ახალუზნის მხარეს) ტერიტორიაზე, შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტს“ - ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.33.246) ხილის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობისათვის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“. მომხსენებელი - გოჩა ლაბაური.
3. საკითხი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემა, სოფელ ბიწმენდში რეგისტრირებული მოქალაქის მერაბ სისაურის (პ/ნ №31001004512) სამედიცინო მომსახურების დასაფინანსების შესახებ და „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდში რეგისტრირებული მოქალაქის მერაბ სისაურის (პირადი №31001004512) სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მცხეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 09 ივნისის №128 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე". მომხსენებელი - ნინო ლაზვიაშვილი.

4. საკითხი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში რეგისტრირებული მოქალაქის ფირუზი სოხაშვილის (პირადი №31001025273) სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივნისის №137 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე". მომხსენებელი - ნინო ლაზვიაშვილი.

საკრებულოს წევრებმა ხელის აწევით, ხმათა უმრავლესობით თანხმობა განაცხადეს დღის წესრიგის დამტკიცებაზე.

სხდომის თავმჯდომარე გადავიდა საკითხების განხილვაზე.

მოისმინეს:

1. განკარგულების პროექტი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“. მომხსენებელი - გიორგი ბაინდუროვი.

მომხსენებელმა გიორგი ბაინდუროვმა სხდომის მონაწილეებს გააცნო, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 20 ივნისის №5176 მამართვა, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების თაობაზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილის და „საქართველოს პარლამეტის არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 3 ივნისის №03/06/02 განკარგულების საფუძველზე. ვინაიდან, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, ამ მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. სტენდი იმ ზომის უნდა იყოს, რომ სააგიტაციო მასალის გამოფენისას ყველა საარჩევნო სუბიექტი თანაბარი პირობებით იყოს უზრუნველყოფილი. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ იმსჯელა ზემოაღნიშნულ პროექტზე და წარმოდგენილი საკითხი საკრებულო სხდომაზე გასატანად მომზადებულად მიაჩნია, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობის შესაბამისად.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

საკითხი მიღებულ იქნა ერთხმად.

გადაწყვეტეს: მიღებულ იქნას განკარგულება №139.

მოისმინეს:



2. განკარგულების პროექტი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელის (ახალუზნის მხარეს) ტერიტორიაზე, შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტს“ - ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.33.246) ხილის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობისათვის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“. მომხსენებელი - გოჩა ლაბაური.

მომხსენებელმა გოჩა ლაბაურმა სხდომის მონაწილეებს გააცნო, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 17 ივნისის №5069 მომართვა, რომლითაც ითხოვენ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელის (ახალუზნის მხარეს) ტერიტორიაზე, შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტს“ - ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.33.246) ხილის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობისათვის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალების დამტკიცება შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტს“ - ის დირექტორის გიორგი ქსოველის განცხადების საფუძველზე. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ განიხილა წარმოდგენილი მასალები (მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის სამსახურის განმარტებითი ბარათი, შეთანხმება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, რომელმაც მისაღებად ჩათვალა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და გეგმარებითი დავალების პროექტი) და საკითხი საკრებულო სხდომაზე გასატანად მომზადებულად მიიჩნია.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს.

საკითხი მიღებულ იქნა ერთხმად.

გადაწყვიტეს: მიღებულ იქნას განკარგულება №140.

მოისმინეს:

3. საკითხი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემა, სოფელ ბიწმენდში რეგისტრირებული მოქალაქის მერაბ სისაურის (პ/ნ №31001004512) სამედიცინო მომსახურების დასაფინანსების შესახებ და „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდში რეგისტრირებული მოქალაქის მერაბ სისაურის (პირადი №31001004512) სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 09 ივნისის №128 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“. მომხსენებელი - ნინო ლაზვიაშვილი.

მომხსენებელმა ნინო ლაზვიაშვილმა სხდომის მონაწილეებს გააცნო, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 20 ივნისის №5171 მომართვა, რომლითაც ითხოვენ თანხმობას, სოფელ ბიწმენდში რეგისტრირებული მოქალაქის მერაბ სისაურის (პ/ნ №31001004512) სამედიცინო მომსახურების დასაფინანსების თაობაზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგინილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 09 ივნისის №128 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ივნისის საკრებულოს სხდომაზე გატანილ იქნა მოქალაქე მერაბ სისაურის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების საკითხი (გამგეობის მომართვა №4678 06.06.2016წ და დეპუტატ ჯონდო მუზაშვილის სარეკომენდაციო წერილი), რის საფუძველზეც აღნიშნული მოქალაქის სამედიცინო მომსახურება დაფინანსდა 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარით (განკარგულება №128).

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საკრებულოს განმეორებით მომართა თხოვნით, მოქალაქე მერაბ სისაურის 2705 (ორი ათას შვიდას ხუთი) ლარითა და 08 თეთრის ოდენობით სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაზე, ნაცვლად 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარისა. ვინაიდან, მოქალაქე მერაბ სისაურის საქმესთან დაკავშირებით გამოვლინდა ახალი გარემოებები, კერძოდ: აღნიშნული მოქალაქისათვის ჩასატარებელი მკურნალობა (ოთხი წამლიანი სტენტის ნაცვლად დასჭირდა ორი წამლიანი სტენტის ჩადგმა) წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით შეადგენს 4 775 (ოთხი ათას შვიდას სამოცდათხუთმეტი) ლარს და 08 თეთრს. აქედან, საყოველთაო დაზღვევით უფინანსდება 2070 (ორი ათას სამოცდაათი) ლარი, ასანაზღაურებელი რჩება 2705 (ორი ათას შვიდას ხუთი) ლარი და 08 თეთრი. ვინაიდან, მოქალაქე არის ეკონომიურად უკიდურესად გაჭირვებული, სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო დარჩენილი თანხის გადახდა არ შეუძლია. გალავნის ადმინისტრაციულ ერთეულში, დეპუტატ ჯონდო მუზაშვილის რეკომენდაციის საფუძველზე, გამგეობა ითხოვს საკრებულოს თანხმობას, მოქალაქის მერაბ სისაურის (პ/ნ 31001004512) სამედიცინო მომსახურების 2705 (ორი ათას შვიდას ხუთი) ლარითა და 08 თეთრით დაფინანსებაზე.

საკრებულოს გადაწყვეტილება

საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხზე და ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება:

1. მიეცეს თანხმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, დააფინანსოს სოფელ ბიწმენდში რეგისტრირებული მოქალაქის მერაბ სისაურის (პ/ნ 31001004512) სამედიცინო მომსახურება 2705 (ორი ათას შვიდას ხუთი) ლარითა და 08 თეთრის ოდენობით.
2. ძალადაკარგულად იქნას გამოცხადებული „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდში რეგისტრირებული მოქალაქის მერაბ სისაურის (პირადი №31001004512) სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ივნისის №128 განკარგულება.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს,

საკითხი მიღებულ იქნა ერთხმად.

გადაწყვიტეს: მიღებულ იქნას განკარგულება №141.

მოისმინეს:

4. საკითხი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში რეგისტრირებული მოქალაქის ფირუზი სოხაშვილის (პირადი №31001025273) სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მცხეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივნისის №137 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე". მომხსენებელი - ნინო ლაზვიაშვილი.

მომხსენებელმა ნინო ლაზვიაშვილმა სხდომის მონაწილეებს გააცნო მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 20 ივნისის №5172 მომართვა, რომლითაც ითხოვენ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში რეგისტრირებული მოქალაქის ფირუზი სოხაშვილის (პირადი №31001025273) სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივნისის №137 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივნისის საკრებულოს სხდომაზე გატანილ იქნა მოქალაქე ფირუზ სოხაშვილის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების საკითხი (გამგეობის მომართვა №4973 15.06.2016წ და დეპუტატ დავით ვალიშვილის სარეკომენდაციო წერილი) და აღნიშნული მოქალაქის სამედიცინო მომსახურება დაფინანსდა 1000 ლარით (განკარგულება №137).

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2016 წლის №5172 წერილით მომართა საკრებულოს თხოვნით, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივნისის №137 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე, ვინაიდან, მოქალაქე ფირუზ სოხაშვილის (პ/ნ №31001025273) მკურნალობასთან დაკავშირებით გამოვლინდა ახალი გარემოებები, რომლის მიხედვითაც აღნიშნული მოქალაქის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება განისაზღვრა 1000 ლარის ნაცვლად 500 ლარით, რაც გაცემულ იქნება მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი კომისიის მიერ (მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამედიცინო და სოციალური კომისიის №25 რიგგარეშე სხდომის ოქმი), ვინაიდან, მოქალაქის სამედიცინო მომსახურების 500 (ხუთასი) ლარით დაფინანსება არ საჭიროებს საკრებულოს თანხმობას.

საკრებულოს გადაწყვეტილება

საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხზე და ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ძალადაკარგულად იქნას გამოცხადებული „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში რეგისტრირებული მოქალაქის ფირუზი სოხაშვილის (პ/ნ №31001025273) სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივნისის №137 განკარგულება.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს.

საკითხი მიღებულ იქნა ერთხმად.

გადაწყვეტეს: მიღებულ იქნას განკარგულება №142.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის ოქმი შეადგინა მ. შამაცაშვილმა.

17:00 სთ

სხდომის თავმჯდომარე

ჯემალ სოლოლაშვილი

